რესურსეფექტური და სუფთა წარმოების განვითარება საქართველოში

რესწ მეთოდოლოგია

რესურსეფექტური და სუფთა წარმოება (რესწ) არის პრევენციული გარემოსდაცვითი სტრატეგიების ინტეგრირებული და უწყვეტი გამოყენება **პროცესებზე**, **პროდუქტებსა და სერვისებზე**, რათა გაზარდოს ეფექტურობა და შეამციროს რისკები ადამიანებისა და გარემოსთვის. რესწ არის ყველაფერი ნაკლები რესურსებით წარმოებაზე, გარემოზე ზემოქმედების მინიმუმამდე შემცირებაზე და მთლიანი პროდუქტიულობის გაზრდაზე. **მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისთვის** რესწ მეთოდოლოგია არის ეფექტური ინსტრუმენტი წარმოების ხარჯების შესამცირებლად მცირე და საშუალო საწარმოების კონკურენტული უპირატესობის გასაუმჯობესებლად და ეკოლოგიურად სუფთა პრაქტიკის გამოყენებით. ასევე, რესწ ითვლება ეფექტურ ინსტრუმენტად მცირე და საშუალო ბიზნესში ცირკულარული ეკონომიკის პრინციპების დანერგვისა და პოპულარიზაციისთვის.

შპს „ვაზიანი“ - ღვინის წარმოება

კომპანიის მიმოხილვა
მდებარეობა: თელავი
ძირითადი პროდუქცია: ღვინო
თანამშრომლების რაოდენობა: 22
ძირითადი ბაზრები: საქართველო, ევროპა, იაპონია, აშშ, ცენტრალური და აღმოსავლეთ აზია
დაარსების წელი: 1982
სერტიფიცირება: ISO 22000

„**ვაზიანი**“ დაარსდა 1982 წელს და მოდერნიზება ჩაუტარდა 2012 წელს. რესტრუქტურიზებული ქარხანა აღიჭურვა თანამედროვე იტალიური ტექნიკით და უჟანგავი ლითონის რეზერვუარებით. კომპანია ყოველწლიურად აწარმოებს დაახლოებით 1,5 მილიონ ბოთლს და 24 სხვადასხვა სახეობის ქართულ ღვინოს. თუმცა ძირითადი ბაზრები საქართველოს ფარგლებს გარეთაა და კომპანია მიზნად ისახავს სტაბილური საერთაშორისო პარტნიორობის დამყარებას. ასევე, ქართულ კულტურასთან ასოცირების გარდა, მეღვინეობა ყურადღებით ადევნებს თვალს საერთაშორისო მოვლენებს და აქტიურად ეძებს ახალ ტენდენციებსა და სტრატეგიულ მიზნებს, რაც ხელს შეუწყობს კომპანიის, როგორც ქვეყნის მთავარი ბრენდის შემდგომ განვითარებას. ენერგოხარჯების შემცირების და ენერგოეფექტურობის გაუმჯობესების მოტივით, კომპანიამ მონაწილეობა მიიღო რესწ-ის სადემონსტრაციო პროექტში EU4Environment პროგრამის (2019-2024) ფარგლებში. ეს პუბლიკაცია აჩვენებს კომპანიის გამოცდილებას, რომელიც ასახულია შემდგომ ჩატარებული მონიტორინგის ანგარიშში.

რესწ ვარიანტების განხორციელებით მიღებული სარგებელი

1
რესწ-ის (ენერგოეფექტურობაზე ორიენტირებული) 1 ვარიანტის განხორციელება

2
ემისიების შემცირება წლიურად 3 ტონა CO_2-ექ.-ით

3
ენერგომოხმარების შემცირება ერთ ტონა პროდუქციის წარმოებაზე

4
ენერგიის წლიური ხარჯების შემცირება

პროექტის მიდგომა

რესწ-ის სადემონსტრაციო პროექტმა კომპანიისთვის შეიმუშავა რეკომენდაციები და გაუწია ტექნიკური დახმარება. შედეგად, კომპანიის გუნდმა სისტემური მიდგომით შეიმუშავა რესწ სამოქმედო გეგმა და მიიღო ცოდნა რესწ-ის, როგორც უწყვეტი გაუმჯობესების ციკლის დანერგვის მიზნით. რესწ შეფასების დროს მოხდა საწარმოო უბნის შემოწმება და რესწ-ის რამდენიმე ვარიანტის იდენტიფიცირება, რომელთაგან ენერგოეფექტურობის საფუძველზე პრიორიტეტი მიენიჭა ერთს და განხორციელდა 2021 წლის აგვისტოში: **რესწ ვარიანტი 1. ძველი მაცივრის შეცვლა ახლით:** ღონისძიება მოიცავდა ძველი გაგრილების სისტემის განახლებას და ძველი, არაეფექტური მაცივრის ახალი, თანამედროვე და ენერგოეფექტური მოწყობილობით შეცვლას. ამან გამოიწვია მოწყობილობის საექსპლუატაციო ვადის გაზრდა და უსაფრთხოების გაუმჯობესება, ასევე ენერგოეფექტურობის კოეფიციენტის და გაგრილების სისტემის მარგი ქმედების კოეფიციენტის გაზრდა. გარდა ამისა, ღონისძიებამ ასევე ხელი შეუწყო ელექტროენერგიის წლიური ხარჯების შემცირებას.

მიღწეული დაზოგვები

ძირითადი განხორციელებული ქმედებები

ვარიანტი 1	ძველი მაცივრის შეცვლა ახლით

ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები

რესწ ვარიანტები	ინვესტიცია (ევრო)	დაზოგვები (ევრო/წ)	უკუგების პერიოდი (წ)
ვარიანტი 1:	60,000	3,223	18.6

რესურსების დაზოგვები

რესწ ვარიანტები	ელექტროენერგია (კვტ.სთ/წ)
ვარიანტი 1:	28,500

ემისიების ჯამური შემცირება

რესწ ვარიანტები	CO_2-ექ. (ტონა/წ)
ჯამი:	3

> კომპანია ცდილობდა შეემცირებინა ელექტროენერგიის მოხმარება და მაღალი წლიური ხარჯები. UNIDO-ს რესწ სადემონსტრაციო პროექტის მეშვეობით მიღებული გამოცდილების წყალობით, თანამშრომლებმა შეიტყვეს ტექნოლოგიების განახლებისა და თანამშრომლების ცნობიერების ამაღლებაში ინვესტირების მნიშვნელობის შესახებ. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახლა, თუ გავითვალისწინებთ კომპანიის ეროვნულ და საერთაშორისო ამბიციებს და ძალისხმევას, განაგრძოს მაღალი ხარისხის ღვინის წარმოება. საერთაშორისო პარტნიორობაში ინვესტირების გეგმის გათვალისწინებით, რესწ-ისპროექტი დაეხმარა კომპანიას იყოს უფრო ეფექტური და კონკურენტუნარიანი, განაცხადა **მთავარმა ტექნოლოგმა ბ-ნმა ზურაბ ახალმოსულიშვილმა**.

რესწ-ის დანერგვა იყო ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროგრამის - EU4Environment-ის ნაწილი, განხორციელებული UNIDO-ს მიერ. ამ კონტექსტში, კომპანია „**ვაზიანი**“ შეუერთდა რესწ ტრენინგებისა და დახმარების პროგრამას. შემდგომი ვიზიტები ასევე ჩატარდა EU4Environment-ის ფარგლებში, რეკომენდებული რესწ ვარიანტების განხორციელების შესამოწმებლად. EU4Environment ეხმარება ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს, შეინარჩუნონ ბუნებრივი კაპიტალი და გაზარდონ ადამიანების გარემოსდაცვითი კეთილდღეობა გარემოსთან დაკავშირებული ქმედებების მხარდაჭერით, უფრო მწვანე ზრდის შესაძლებლობების დემონსტრირებითა და გახსნით და გარემოსდაცვითი რისკებისა და ზემოქმედების უკეთ მართვის მექანიზმების დაწესებით. დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ ვებ-გვერდს: **www.eu4environment.org**

© – 2023 – UNIDO. ყველა უფლება დაცულია. ლიცენზირებულია ევროკავშირში გარკვეული პირობებით.

ეს პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია UNIDO და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

გაეროს სამრეწველო განვითარების ორგანიზაცია
ქ-ნი ტატიანა ჩერნიავსკაია
EU4Environment პროექტის მენეჯერი
ტელ: +43 1 26 0 26 5520
ელ-ფოსტა: t.chernyavskaya@unido.org

ენერგოეფექტურობის ცენტრი
0160, დ.გამრეკელის ქ. 19, VI სართული,
ოფისი 611, თბილისი, საქართველო
ტელ: +99 53 2224 25 42
ელ-ფოსტა: eecgeo@eecgeo.org
ვებგვერდი: www.recp.ge

გვერდი 2